ვანო ჩხოკვაძე

წერილები

2015

ვანო ჩხიკვაძე

წიგნი
2015

ლიტერა+
2016

UDC (უაკ) 821-353.1-1
ჩ - 981

ვანო ჩხიკვაძე
ლექსები – 2015

რედაქტორი
ნინო დიდბერუაშვილი

კორექტორი
ლია დავითიშვილი

ISBN 978-9941-0-8909-1



კავკასიონი

ახლა ხევებში შეყვარებული
ლურჯი ნისლები წვებიან.
უფსკრულზე ჯიხვის ელვა-ნახტომი
რამდენჯერ დამსიზმრებია.

ღმერთმა მოჰკითხოს,
ვინც დაგვაშორა –
მთები ცერებზე დგებიან,
მონატრებული ის მწვერვალები
ჩემი ჭაღარა ძმებია.

ტახტი

არ მყავს მოცილე,
ვიცი, ნაღდია,
ეს ტახტი მხოლოდ
ჩემი ტახტია.

ღუმელთან ახლოს დგას მოჭრიალე,
უბრალო ხისგან გამოჩორკნილი,
სადაც ჭვარტლი და კვამლი ტრიალებს,
მორჭმით ზის თქვენი მონა-მორჩილი.

ეს არის სულ, მე რაც მაბადია –
სამეფოს ჭიპი,
და ვინ დამიშლის,
ნებაზე ვმართო – ჩემი ტახტია,
მუთაქებით და ჭრელი ბალიშით.

ჩემს დაძახილზე ურიცხვ უნაგირს
არ მოახტება მხედართა წყება.

არ ჰგავს ოქროთი მბრწყინავ ბუნაგებს
სადაც ჰარემის მამალი წვება.

პროტესტის ცეცხლი რომ არ მოედოს –
მეამბოხეებს თავი რომ შერჩეთ,
არ ვაჯილდოებ ხალხის პოეტებს,
არც ვეფერები აბეზარ ელჩებს,

და მაინც, მაინც,
ტახტი ტახტია,
თუ ერთგულია, თუკი ნაღდია,

მხნე და მორჩილი არც ის დაეძებს
მდიდარ მონარქს თუ პირქუშ მბრძანებელს.

თუმც გვერდებს ღამით უხრავს თაგუნა,
არ წუხს, იღბალმა მე რომ მარგუნა.

ერთგულ სამსახურს არ დამაყვედრის,
მასაც ჩემსავით დრო და ხანი ჭამს
და მაინც კმაყოფილია ხვედრის –
არ ვუფენ სისხლის წითელ ხალიჩას.

დურგალმა ისე მოახარატა,
რომ ვერ აცდუნოს სიტყვა «ღალატმა».

მამშვიდებს, როცა ზურგს მაქცევს მუზა,
როცა ამსხვრევენ მთვარის მინანქარს.
საიდუმლო სკივრს ხელს გადაუსვამს
და გაუმხელელ ფიქრებს ინახავს.

სხივებს უგზავნის მზე გადახრილი
და ამ სითბოთი კურნავს ნაწოლებს,
სულ მიერთგულებს, ვიდრე დაღლილი,
უკანასკნელად, მხრებს დავაზომებ.

გვინდა თუ არა,
წლები ჩქარობენ,
სიცოცხლის ბალახს ჟამი მიცელავს.
აჰა, ეს ლექსიც მან მიწყალობა,
ამ ტახტზე შენთვის რომ დაიწერა.

*

წავიდა პოეტი თადეოზი,
მეუფე თადეოზი წაბრძანდა.
ნათლისღება ღამეს დაასრულა
წირვა უკანასკნელ ზამთართან.

მკერდში შეფრთხიალდა, მოღუღუნე
მტრედი მახარობლად გაფრინდა.
იქაც თავის აღმართს შეუდგება,
რასაც მსახურებდა აკვნიდან.

იმ დიდ საუფლოში გადასახლდა,
ვისაც ეძიებდა, იპოვნის.
ნატკენ სულს მალამოდ დააფინა
წმინდა, უცოდველი სტრიქონი.

თავი იცხონა და აღესრულა,
მორჩილად გაუყვა გზამართალს.
წავიდა, პოეტი თადეოზი,
მეუფე თადეოზი წაბრძანდა.

*

თმაში ჭაღარა ყვავილობს,
ყელზე ნაოჭი ბევრდება,
ქალაქში მითქმა-მოთქმაა,
ლამაზი ქალი ბერდება.

დამცხრალან მკერდის ზვირთები,
მოყელყელავე გედებად,
დაფშხალა ჟამმან მსახვრალმან –
ლამაზი ქალი ბერდება.

გუშინ სხვის დამწუნებელი
ახლა ქცეულა ვედრებად,
ეჰ, წვივმაღალი ფაშატი –
ლამაზი ქალი ბერდება.

ვით საყვავილე უვარდოდ,
დარჩა ქალაქი – ბერდედა.
ვინ უპატარძლებს გაზაფხულს –
ლამაზი ქალი ბერდება.

ჩაივლის,
მკერდს ჩავიმჯიღავ,
ღამდება, არ მოდღევდება,
ერთ ოხვრას მეც გავაყოლებ –
ლამაზი ქალი ბერდება.

ცხენები

ვერ გავიგე, ყველაფერი
ცხადში მოხდა თუ არა –
ულაყების თქარათქურმა
კედლებს გადაუარა.

ქვაზე ნალი გაწკრიალდა,
აქ მეგონა,
იქ არის –
გარბის წითელფაფრიანი
ცეცხლოვანი გრიგალი.

გამეღვიძა,
ძველ ფოტოზე
სასწაული ვიხილე,
მონიავას ნაჩუქარი
ორი ცხენი ჭიხვინებს.

ვუსმენ, უფრო მიმძიმდება
გული ძლივსღა მფეთქავი –
ტირიან თუ იცინიან
ვერ გავიგე, ღმერთმანი!

*

გზები მოხრეშილა ბინდით –
ვიღაც საქართველოს ჰყიდის.

ვისას ხნავს და ვისას მკისო,
ციხეებზე ცეცხლს რომ აქრობს,
ვაჰ, ვერავინ ვერ დავითობს,
ხვანთქარობს და ათაბაგობს.

ვაი, მკლავმოჭრილო მნათევ,
როგორ ჩამორეკავ ზარებს.
იმედს საბელივით მართმევს
გული – გაპობილი ბზარით.

ბავშვი გავაყოლეთ ნაბანს,
მიკვირს ან აქამდე რომ ვარ,
როგორ მოაწონებ აბა,
ბოღმა, მუცელღმერთა მსტოვარს.

ჩვენი სიძულვილით მბორგავ,
ხარბ და პირმოფლაშულ გოდორს,
როგორ შეაბრალებ, როგორ
ატირებულ ქსანს და კოდორს.

შენ არ გაიღვიძებ, ვიდრე,
გული ხელისგულზე მიდევს,

გზები მოხრეშილა ბინდით –
ვიღაც საქართველოს ჰყიდის.

*

ბევრჯერ მომნატრებია,
ის წლები უდარდელი,
გაზაფხულის წვიმები,
საახალწლო ფანტელი.

სულ მუდამ დამშეული
სტუდენტური ბანდები –
სასადილოს ბორშჩი და
სტუდქალაქის «სარდელი».

იმ ხანაზე აუგით
ენა ვინ მოიქავა –
გავიღვიძებ – ვნატრობ და
დავიძინებ – იქა ვარ.

თუ გვებადა,
ვხარჯავდით,
მანეთს – ჯიბის მორიელს,

კვაწარახი «გარეჯი»
მაინც ვერ გამოვლიეთ.

მიგორავდა იაფი,
მოდრეიფვე კუნძული,
ჩვენი ჟივილ-ხივილით
ტრამვაი დახუნძლული.

ძმებო, ახლა რა ხდება,
მოგვდევს ჟამი ავი და
ნაადრევად, გზადაგზა,
ეჰ, რამდენი ჩავიდა.

დრომ დახურა სეზონი,
აფიშები დახია,
დაივიწყა, ტრამვაით
რაც ჩვენ გვირახრახია.

ბედი ბევრჯერ მივანდეთ
სულგაყიდულ ლაქიას.
აღარც სასადილოა,
აღარც სტუდქალაქია.

ერთადერთი სული ვის
ჯერ არ გაუყიდია,
ძველ კორპუსთან, ცაცხვებში,
მგალობელი ჩიტია.

*

ვერაფერს გეტყვი მომავალზე
და ვერც წარსულზე,
დღევანდელზე ხომ – მითუმეტეს,
თვითონაც ხედავ...

მოდი, ჩამოვსხდეთ მდინარესთან,
ხიდის ყურის მათხოვრებივით,
და გავიხსენოთ უძველეს დროში,
პოეტის ლექსში,
მეოცნებე შეყვარებული,
ძიანში სავსე მთვარეს როგორ გადაეხვია...

მას შემდეგ ისე განიავდა ათასი წელი,
რომ ატყორცნილმა წყლის შხეფებმა
უკან დაბრუნება ვერც კი მოასწრეს...

ნეტავ ჩვენც ხომ არ გვეცადა ბედი –
აგე მთვარე და აგე მდინარე –

ადრე თუ გვიან მაინც იტყვის
წყეულ სიმართლეს,
ჩემი სიცოცხლის შავი ყუთი –
ბოლო სონეტი,
რომელიც ჯერ არ დამიწერია.

მოდი, ჩამოვსხდეთ მდინარესთან...

*

გასხივოსნდება მადლით ხარება –
რეკენ და რეკენ ცისკრის ზარები,
გაბრუებული იღბლის ქარებით
ვერც მე მოვიშლი გზებზე ხეტიალს,
ვით შემოგფიცო,
სულ მეყვარები,
როცა ეს გრძნობა უფრო მეტია.

რამდენ ოცნებას ამსხვრევდა მეხი,
ელვა, რიყეზე გაკრულ ნალების.
მოგდევ!
გეძახი!..
ძილშიაც მტეხენ
შენი ღვთიური ნალურსმალები.

უპასუხო კითხვა

როდემდე, სადამდე,
ხუთამდე, ათამდე,
ხომ უნდა დასრულდეს,
ხომ უნდა გათავდეს.

ეგ კვერთხი შემახე,
რომ გული გაქვავდეს,
გაცივდეს სისხლი და
ღვარძლი დათავთავდეს.

შუადღე გეგონა,
უკუნი ღამეა.
მხოლოდ ეგ გიშველის –
თასში რომ შხამია.

რა უნდა ვიღონო,
სულს რომ არ ღაფავდე –
როდემდე, სადამდე?!
როდემდე, სადამდე!..

*

მე ასე მგონია,
შენ ისე ფიქრობ,
კარგია,
ცუდია –
წვიმამ რომ იკლო?

ახსოვს საქართველოს
შენაქო? დიკლო?
მიაქვს ინვესტორის
საეჭვო მიკრობს.

წარსულის ველ-მინდვრებს
დაჰყეფავს ბორა,
წინ გაურკვევლობის
ბურუსი ბოლავს.

მე ასე მგონია,
შენ ისე ფიქრობ,

ხმალს როცა იქნევდი,
ნეტავი იმ დროს.

ვის მისდევს ცხვრის ფარა? –
ცვედანი ვაცობს.
ვერ ამოახველებ
ჯიპების «საცობს».

რაღაც მოვიფიქროთ,
თუ გვინდა გავძლოთ,
არ გესმის?
ჭურიდან
ამოდი, კაცო!

*

დუმს ხეობა,
ამოხეთქა
ჯავრმა ქურთასთან და კეხვთან.

მწყალობელი მეფის ლანდი
დაჰყურებდა თამარაშენს,
სადაც ახლა ღორის დინგი
ჩვენს ბედ-იღბალს ათამაშებს.

სულ წაიღეს რაც მებადა,
რაც შავ დღისთვის დამაგულეს.
აღარ მინდა –
იმ წარსულთან,
იმ წარსულში დამაბრუნე.

მერამდენედ ნაოხარო,
შენს გამწირავს გველი ჰკბენდეს.

სადარდელო, საოხრავო
ცეცხლში ხარ და იწვი დღემდე.

სხვას, აბა, რას უნდა გთხოვდე,
შემიკაზმე შენი ჰუნე,
აღარ მინდა ეს «სამოთხე»,
იმ წარსულში დამაბრუნე.

*

გახსოვს მდინარეზე ხიდი,
წყალი კამკამა და მშვიდი.

გახსოვს მოალერსე ხელი,
თვალში მობრჭყვიალე ნამი.
სისხლში ჟრუანტელი მღერის,
გაუხედნავი და ხამი.

გახსოვს მდინარეზე ხიდი,
ბიჭი ნარცისებს რომ ჰყიდის.
ხიდზე ჩამოივლის ბინდი,
ჩირგვში დაიძახებს ჩიტი.

მხოლოდ ერთმანეთის თვალებს,
ბნელში დაგვანახვებს მთვარე.

წლები თოხარიკით მირბის,
მიაქვს მდინარეზე ხიდი.

რუხი შემოდგომა მოდის,
ცეცხლი ჟრუანტელის – მიდის.

მორჩა, რაც მებადა, ვყიდი –
გახსოვს მდინარეზე ხიდი?

*

«...და იყო ღამე»,
როცა ერთმა ლეგიონერმა
ფერდში აძგერა შუბი იესოს...

ის ეკლესიაც ჩემი ჯვარცმული
სამშობლო-ქვეყნის ფერდი იყო,
ცოდვის შვილებმა
«სტუდაბეკერი» დასანგრევად რომ დაატაკეს...

აი, ამის ჩამდენები, დაჭრილ ხარ-ირემს –
ისევ კვალში უდგანან საქართველოს,
როგორც მგელი სისხლიან ბილიკს –
თან რომ მისდევს და
თან მილოკავს
ძახველივით დასრესილ წვეთებს.

*

წავიდა ომი.
კედელს ჭრილობები დაუტოვა –
ნაბზარებსა და ნატყვიარებში
ახლა ბეღურები ცხოვრობენ.

წავიდა ომი.
როგორც ჩიტებმა,
ნაღმის ნამსხვრევებით
დაკბეჩილ სხეულში
ჩვენც ჩავიბუდეთ...

ფარეხიდან წასული მტაცებელი
ვიცი, ერთხელაც შემობრუნდება,
ჩვენ და ბეღურებს,
ბუდეებიდან ამოგვსხამს და,
ონავარი ბიჭივით
უბით წაგვიყვანს.

წავიდა ომი!
ვითომ წავიდა?

დირექტორი

გველი სავარძელში.
გესლი ენიდან და
გესლი თვალებიდან.
გენდერული თანასწორობის
პროექტის ნაყოფი,
გარედან ქალი,
შიგნიდან ჭრელია
და კაბინეტი ნანატრი ხვრელია.

გველი გველია –
თავებს იწონებენ
გარს შემომსხდარი სქელგავა პითონები...
სავარძლის წითელ ხაოზე
ზანტად იზმორება
მათი მფარველი,
რომელმაც იცის
დრო და დრო მუზეუმის ცოცხალ
ექსპონატებს,

როგორც ვოლიერის სტაჟიან მხეცებს
კურდღლები თუ არ უწყალობა,
არ დაინდობენ...

გველი სავარძელზე,
უმადური, ცივსისხლიანი,
მთვლემარეც ფხიზლობს,
ძილში თავისი
გესლი რომ არ გადაეყლაპოს.

*

აქეს, აქეს, აქეს, აქეს,
რა არ დასცდა ცბიერ ბაგეს.
მერე მიესივნენ ხორაგს,
ბლომად სალაფავი თაქეს.

აქაც მოიოხეს ჟინი,
მთებად მოაჩვენეს ვაკე.
განსხვავებულ სასმისებით
აქეს,
აქეს,
აქეს,
აქეს...

ყველაფერმა ჩაიარა,
ახლაც ისე, როგორც ადრე –
ქებით თავი მოაჭრეს და
ხოტბით ყელი გამოღადრეს.

ბოლოს ყველა დაეფანტა,
ზოგი – იქით,
ზოგი – აქეთ.
შერჩა მარტო ნამუსრევს და
თეთრ სუფრაზე ღვინის ლაქებს...

აქეს, აქეს, აქეს, აქეს...

*

გული გახლეჩილა ჯავრისაგან –
რა ვქნა, დაუთმობელს ვერ ვთმობ.
როგორ გავატანო ნაყივჩაღარს,
შენგან რაც მებოძა, ღმერთო?!.

თვალზე სისხლის ცრემლი მომადგება –
იფქლად გვასაღებენ ქატოს.
– ქსნისკენ! –
დამიძახებს მონატრება,
იცი, კარგად იცი, რატომ.

ნაბილიკარები ბიბინებენ
(ბედმა გაგვიღიმოს, დროა!) –
ვაი, ქსნისპირების გვირილები
ტალღებს თავდაღმართში მოაქვთ.

*

ვაკის პარკშიც ცხელა,
მუშტაიდშიც ცხელა,
ჰაიდ პარკშიც ცხელა და
საჰარაშიც ცხელა.
ეკრანზე კი ნებივრობს
ლამაზმანი, ქერა.

ღამის ნელსაცხებელი.
პენუარი. პუფი.
ორი ნახევარსფერო –
დაბნეული ტყუპი.

მეცხრე ავენიუზეც და
ბალახვანის ჩიხშიც,
ერთნაირად დასჩემდა
ადამიანს შიში.

აქაც, იქაც ჰალსტუხი,
ერთნაირად უჭერთ,
ყველგან მთავარი არის,
გამოიძღონ კუჭი...

მეექვსე დღის მცდელობა,
სულ გამოდგა ფუჭი,
რა ვთქვა,
ადამიანს და
უფალსაც რომ უჭირს...

უხსოვარ ხნის ბებერი
გვზვერავს მთვარის ლუპით.
ორი ნახევარსფერო –
დაბნეული ტყუპი...

კამკამა წყლის აუზი.
ბრასით გადასერა,
მე რომ იღბალი მქონდეს,
ეს შიშველი ქერა...

მუშტაიდშიც ცხელა და,
ჰაიდ პარკშიც ცხელა...

*

სიყრმიდან მახსოვხარ, გიცნობ,
საითკენ, ფარფატა ნისლო?!

ხან გაშლილ იალქანს ჰგავხარ,
ხან მხრებზე დაფენილ მანდილს.
სად იყავ, არხოტს და ხამხას
იქნება ცვარ-ნამით ბანდი.

დაღვრემილ, უკაცურ კოშკებს
მოზარე ქალივით მისდევ,
ჯიხვი რომ ქვამარილს ლოკავს,
მალამოდ ედები იმ მთებს.

რას იტყვი, საითკენ გიხმეს,
თუ მოთქვამს ბებერი ბისოს.
როგორი ლამაზი იყავ,
მახსოვხარ, მახსოვხარ, ნისლო.

სურათი

პურის თაველში ზურგშექცეული
მდედრი და მამრი წვანან.
ყვითლად ლივლივებს ქალის თმები და,
კაცის თმები და, ყანა.

იქვე ნამგალი,
იქვე ნამკალი,
ქალის მოქნილი, მთრთოლავ წელივით,
ხელეურების ნაზი ამქარი,
მკლავზე ნებივრად გადაწვენილი.

პურის თაველში წყურვილმოკლული
მდედრი და მამრი წვანან.
ყვითლად ლივლივებს ქალის თმები და,
კაცის თმები და, ყანა.

მაკედონელი

გარეშეს, შინაურს, უმადურ ნათესავებს,
ხელები უჩვენე, ალექსანდრე!

ჰო, ეგრე, ალალად გახსენი მუჭი,
თან რომ არაფერი არ მიგაქვს ბღუჯით.

ნახოს მტერ-მოყვარემ,
ნახონ მეგობრებმა,
რაღაცას მალავსო, თორემ ეგონებათ.

მსოფლიო ფეხქვეშ ამოიდე,
სიკვდილის გული კი ვერ მოიგე.

სუყველას – უიღბლოს, იღბლიანებს,
წაიყვანს, მზაკვრებს და ნიღბიანებს.
«სიკვდილი არასდროს იგვიანებს!» –
გალიის ლომებმა იღრიალეს.

გეგონა, სულ ასე იქროლებდი –
ვაი. რომ ყველაფერი უცებ არი.
ყველაზე ალალად გიგლოვებდა,
საფლავს ფლოქვს დასცემდა ბუცეფალი...

ვიდრე გზას გაჰკვალავ ჰადესამდე,
ხელები გაშალე, ალექსანდრე!

ოთხმოცდაათიანი

პიკეტი.
გზები გადაგვიკეტეს.
დასჯილი ბავშვივით სლუკუნებს სიკეთე.

მოკლეს სიმღერები მხნე და ნაღვლიანი.
დარბის ავტომატით ყველა დარეხვილი.
შევარდა ფარეხში ოთხმოცდაათიანი
წლები, მშიერი და კბილებალესილი.

როგორ დაემგვანენ ყაშყაშა სვავებს –
თუ ღვინო არა აქვთ,
ცხელ სისხლსა სვამენ.

ტყვიით და დანით ირჩევა სამართალი,
რაც გულში ბოღმა აქვთ,
ის შუბლზე აწერიათ.
ყველა შეშლილია, ყველა ავად არის,
ხვრეპენ საქართველოს გადახსნილ არტერიას.

ამაყმა ულაყმა აღვირი წაგვართვა,
უფსკრულში ჩაქანდა ციცაბო დაღმართით.

დიდმა სალოცავმა ბევრჯერ დაიკვნესა,
დღემდე ვერ იშუშებს მძიმე ნაიარევს.
როგორც მარბიელმა, ეგრე აგვიკლეს და
ბოლოს უსახელოდ გაქრნენ, გადიარეს...

ხრჩოლავს თავახდილი შუშა ნიშადურის –
ჟამი ცრუ გმირების – ოთხმოცდაათიანი.
სადღაც სამრეკლოზე, ვიდრე იმარხულებს,
ზარებს ჩამორეკავს ვიღაც, მადლიანი.

ნიკალა

ნეგატივს ფოტოგრაფი წყალში ალივლივებს,
მჟღავნდება ჯგუფური სურათი, ფაქსიმილე.

რამდენი თავადი,
რამდენი ლოპიანა,
ქალი ლამაზმანი, ჩიხტიკოპიანი.

რამდენ პატიოსანს ან რამდენ ჩალიჩას,
იტევდა ქალაქი –
ჭრელ-ჭრულა ხალიჩა.

ანგალი ანგლობდა, ბარიგა ბარიგობდა,
მევახშე ფურცლავდა ვალების დავთარს.
ცხოვრობდა იმედით მდიდარი ღარიბობა,
თუ იყო საფქვავი, წისქვილი ფქვავდა.

და მხოლოდ ის ერთი,
დიდი მარტოსული,
უიღბლო იღბლიანი, კენტად ამოსული.
ციური მუზების თანამეინახე,
ვერც შეიფერეს და ვეღარც შეინახეს.

დუქნებს გენიოსის დარჩათ ავტოგრაფი,
თავად – კიბის ძირში
ერგო სარკოფაგი.

სულში უყვაოდა ვარდი ასიოდე,
იწვა, კიბის მტვერი თავზე აცვიოდა.

ვინ იყო გამკითხავი, სციოდა, შიოდა,
ზოგი ადიოდა,
ზოგი ჩადიოდა.

მოკვდა, აისრულა, რაც კი დაიქადნა,
იწვა უღიმილო,
მეტყველი მუნჯი.
არყიან ჭიქაში თვრებოდა ქინქლა და
პალიტრას კოცნიდა შემხმარი ფუნჯი...

ვიდრე მოგონების კიბეს ჩავივლიდე,
ხსოვნა – ფოტოგრაფი, ნეგატივს ალივლივებს.

ჩემი მასპინძელი,
კიბის სამოთხედან,
ველი, ნუკრის თვალით როდის გამომხედავს.

*

ეზო იტალიური,
აივანი ფრთასავით.
სოსისი და პიურე –
მიდის ლუდის ბაზარი.

ორნახადი არაყი
საფეთქლებს შეახურებს.
ტუჩებს ელამუნება
თეთრი გოგოს საყურე.

მიდის ღამე.
თავზემოთ
სავსე მთვარე ხატია,
მთვარეცა და საყურეც
ყალბი ბრილიანტია.

შფოთავენ და ბორგავენ:
– ხალხო, რა დროს ძილია,

რომ გაცოცხლდეს, მეორედ,
გავწირავდით ილიას!

ეკრანიდან ცვედანი
გვმოძღვრავს ტელე-პუჭია –
ღამის ეზოს აღვიძებს
მთვრალის «სანტალუჩია».

ეზო იტალიური,
კუბიზმი და გოთიკა,
უსმენს პატრიოტების
უკანასკნელ მოჰიკანს.

უბედობის საწყისი
დროა დავათარიღო –
რაღაც ისე არ ხდება,
რაღაც ასე არ იყო!

აიშალნენ, ეს ღამეც
იყო, არა იყო რა...
ქვაფენილზე თუნუქის
«კილკის» ყუთი მიგორავს...

26 ივნისი

როგორც მორღვეული ქანი,
ფერდობს მოწყვეტილი – ვქრები.
ისევ დასტაქარის დანა –
ნებით სარეცელზე ვწვები.

წლების ღვარცოფები მიტევს,
თეთრი, მგრძნობიარე ფერით.
არჩევს ყვავილებში ტიტებს
მკაცრი რეალობის ხელი.

როგორ წამესვლება სადმე
შენი მწუხარების პატრონს –
სხვას ვის დავაკლდები აქ მე,
შენ ერთს დაგაობლებ, მარტო...

სიცხით ადუღებულ ივნისს
უმხელ შენი გულის ვარამს –
მხოლოდ შენი ლოცვით ვივლი,
ვიდრე ბეწვის ხიდზე ვდგავარ.

*

თვალს დავხუჭავ –
წვიმა ხელს ჩამკიდებს და შენთან მომიყვანს.
აქ ისე არ ხმაურობს.
კრამიტზე გადარბიან ციცქნა ჯამბაზები.
ქარი გადასწევს წვიმის ფარდას,
მაგრამ მაინც რას დავინახავ,
წვიმას წვიმა ენაცვლება –
გრილდება ჰაერი, ხასხასდება მინდორი.
სიცხით მოყინული სათიბის ბალახი
ჩვენს თვალწინ ცოცხლდება,
ხალისობს, იზრდება.
ისლით დახურული ხუხულა
უძლებს ჯერჯერობით წვიმის შემოტევას –
შიგნით არ უშვებს გიჟურ შხაპუნას.

მუხლებზე დამდგრები,
ვხედავთ ვაზის მწკრივებს,
როგორ ჩამოსდის ლურჯ ზოლებად შაბიამანი
და აქოჩრილი რუ ვენახში
შემოსავარდნად როგორ ძალაობს...

ვუსმენთ წვიმას!
ზოგჯერ გარეთ თავგაყოფილებს,
წვეთების ძაფები თმაში გვებლანდება...
გაცრეცილ სახეს მოგიახლოვებ,
მერე ხელისგულს ჩავაყოლებ შენს თმას და
წყალი ჩამოურბენს ყელს და გულისპირს, –
ხედავ, როდინდელმა წვიმამ დაგვიძახა?
არ გამიცივდე,
მოგეხვევი და მაგრად ჩაგიხუტებ:
– შენ ხომ ჩემი ბავშვობა ხარ!

სიცხიანი ლექსი

უნდა გახსოვდეს, ჩვენს საშველად არავინ მოვა,
ვინც სატყუარა ძვალს გამოღრღნიდა.
თქვენ ხართ თაობა განწირულთა –
უიღბლო ხროვას
ხმას ვინ მოგაწვდენთ ან გაღმიდან,
ან – გამოღმიდან.

ფოლიანტები იხსენებენ მათ სივერაგეს,
როგორ «უშველეს» უწყინარ ტომებს.
ან მავთულხლართებს ვინ შეგვატოვა,
სპექტაკლებივით რომ დგამენ ომებს.

მათ დაარწიეს დღეს ახალი კერპის აკვანი –
ფულის მანქანას რომ ვცეთ თაყვანი.

აღარც ერთი გზა რომში აღარ მიდის,
და შენც ფეხსაწმენდი ტილო ხარ.

დგახარ უნუგეშოდ გადაღლილი,
გიცვლიან ენას და კილოკავს.

ეკრანი, სერიალმა სიბილწის ტირაჟით
შენი მეტყველება წალეკა, წაბილწა,
რად გინდა წარსული, დღევანდელ მირაჟით
იცხოვრე – უარი ძვირფასს და საფიცარს.

ეჰ, «ადამიანი»
აღარ ჟღერს ამაყად,
დირიჟორს გიღალატა კამერტონმა.
ჩამოტყდა მზის ტოტი,
რა მოგდის?
ავად ხარ? –
თვალებში სიცივე ჩაბეტონდა.

როგორ დავიჯერეთ, ან ვინ მოგვაფიქრა,
ჭიქა შხამს, მოვა და, ვინმე ხელს აგვიკრავს.
პირიქით, გაქეზებს, მოგარგებს ალიკაპს:
– მეორეს მოუკიდე, პირველი ჩაგიქრა!

ნუ ფიქრობ დადგება ცერებზე ეიფელი,
ნახანძრალ სულზე რომ სული შეგიბეროს.

ამ ქვეყნის შვილობა თუ ვერ შეიფერე,
უცხო და უმძრახი უნდა შეიფერო.

ხედავ, მერამდენედ გაქრა ქიმერა,
მარადიული მტერი გვიბერავს.

რა მომასვენებს, ვიდრე მყავხარ გადასარჩენი,
ვიდრე ახალი იწერება წიგნის სარჩევი.

უნდა ვუფრთხილდეთ ნაცად «შოუმენს»,
ვერც ბოლო შანსზე ვერ ვიტყვით უარს.
თორემ მენავე ხოფს თუ მოუსვამს,
ვეღარ ვთხოვთ უკან დაბრუნებას –
მენავე ყრუა!

ერთხელაც უნდა გაიბრძოლოთ, ძვლებო ბებერო,
თორემ ბობოქარ წმინდა გრძნობებს მოედო ობი,
უქმად ჰკიდია კედელს ორი ნახევარსფერო,
ორი დედა-ღორის სათქვლეფი გობი.

ქალაქი

მეკითხებიან დედაქალაქში
ჩემი პატარა
ქალაქის ამბებს,
გაბედნიერდა პროვინციელი
თუ ძველებურად
იწყევლის თავ-ბედს.

მეკითხებიან, ციხის კედლებზე
ხომ არ იმსხვრევა
გამძლე ფიქალი,
თავს როგორა გრძნობს
ხალხის მსახური
სახელისუფლებო ვერტიკალი.

მეკითხებიან, ამბობთ სიმართლეს
თუ ძველებურად
სინდისს აჩუმებთ,

და თოკზე, როგორც ცირკის ჯამბაზი
წონასწორობას
ძლივს ინარჩუნებთ!

ჯართად ქცეულა ძველი წესები,
რაღა შემოგვრჩა
დღეს შეუცვლელი –
სადარბაზოში მიცვალებულებს
გადასახადის
მოსდით ფურცლები –

«ელქსელებს» ახსოვთ, თუმც რახანია
ლამის პატრონებს
გადაავიწყდეთ.
ლაღობს სიკვდილი, მიაჩხრიალებს
პენსიონერთა
დამდნარ ლავიწებს.

ავად თუ კარგად ცხოვრობს ქალაქი,
დოლ-გარმონით და
ბალალაიკით,

წამსვლელი ჩქარობს
და ბერავს «შტატებს»
ყრუ სასაფლაოს მუნჯი «აიპი».

ხალხის ბედ-იღბალს რატომ განაგებს,
როგორც წესია,
ბევრმა არც იცის –
კაბინეტებში ზის და ზუზუნებს
ცოტა ფუტკარი,
ბევრი – ნარცისი.

ვხედავ, რაღაცა ისე არ ხდება,
მე რომ მინდოდა,
შენ რომ გინდოდა,
ქალაქის თავზე ღრუბლებს მიდენის
პოლიტიკური უამინდობა.

მხოლოდ იმიტომ, რომ ყალბი ცრემლით
პირქვე დამხობილ
ძეგლს მისტირიან,
გუშინწინდელი «მაშენებელი»
დღეს წამებული, თითქმის გმირია.

ლამის წმინდანად თავი იკურთხოს
სისხლის მწოველმა,
ბნელმა ნატურამ,
თავს უკანტურებს ბრბო მორჩილებით
ყოფილ, მექრთამე ნომენკლატურას.

თაღლითებს როგორ დაამადლიდა
ტყვიას და ციმბირს –
ძვირფას სახელოს,
რა ეშველებათ, დიდი ბელადი
ღმერთმა რომ მართლა წამოაყენოს.

ვიღა იხსენებს, მათი წყალობით,
სისხლს რომ გვიშრობდნენ,
ხორცს რომ ვიჩქმეტდით,
და იმუქრება ვინ შიმშილობით,
ვინ გაფიცვით და
ვინ – იმპიჩმენტით.

რბილ სავარძლებში განაბულ ვირთხებს
ხალხი ჯერ კიდევ იტანს და ითმენს.

ჯერ კიდევ დუმს და პროტესტს აყუჩებს,
თუმც ყელზე უჭერთ ბანკის მარყუჟი.

და არაფერი არაფერს არ ჰგავს,
ქარი ქალაქს ჰფენს ბაზრობის ნაგავს.

რა ეშველება ამდენ «ბეკეკოს»,
ძუძუს გოჭსა და
უვიც ყოყინებს.
დღეს ერთის ყმაა,
გადასკუპდება
თუ სხვა პლატფორმას დაამჯობინებს...

ბორგავს ივლისი. მოწყენილ ქალაქს
მთების ხრიოკის
ჯვალო აცვია.
კონდიცირებულ ოთახში ბრდღვინავს
ხალხზე მზრუნველი
დეპუტაცია...

მეკითხებიან, რატომ წამოჰკრა
ფეხი ქონგურზე
ნახევარმთვარემ,

უბერავს ჟამი –
აქრობს იმედებს –
რა ვუყოთ,
ხვალის იკითხოს ხვალემ!..

არ იყურება არავინ მაღლა,
სულ დაირეხვნენ და
დაქლიავდნენ,
შენობის თავზე
ობლად შთენილი
გახუნებული დროშა ფრიალებს.

მეკითხებიან... რა ვუპასუხო,
როცა გულს მიჭამს
ჯავრის ვარაყი
და ცელოფანის
დაბერილ ბუშტებს
მაღლა და მაღლა
მიაქვთ ქალაქი.

ბრიყვეთის სამეფო

(იგავი)

მაცალეთ, სული მოვითქვა,
ამბავს ნელ-ნელა მივყვები,
ის რა ბრიყვეთი იქნება,
რომ არ ცხოვრობდნენ ბრიყვები.

ბრიყვეთი თავზე ექცევათ,
ამბობენ, არაფერია.
ბრიყვულ ზეიმებს მართავენ,
ბრიყვულ სიმღერებს მღერიან.

ბრიყვმა ბრიყვული რომ არ თქვას,
დიდი ბრიყვეთის კანონით,
მთელი სიმკაცრით ისჯება
წამსვე მთქმელიც და გამგონიც.

გამგონი რა შუაშია,
შუაზე რატომ იყოფა,
დანაშაული მთქმელისა?
სწორედ ეს არის ბრიყვობა.

დაგრძელებული ჩიყვებით,
მასწავლებლობენ ნიყვები,
გვმოძღვრავენ, უკეთესია,
რაც მალე გამობრიყვდებით.

მტყუანს ციხიდან უშვებენ,
მართალს არ სწყალობს თემიდა,
სწორედ ამიტომ გარბიან
მშიერი საბრიყვეთიდან

ბრიყვია გუბერნატორი,
ჭკვიან ვეზირსაც ნუ ელი,
და, რა თქმა უნდა, სამეფოს
მართავს პირველი სულელი.

ეტიკეტს თუკი დაიცავ,
უნდა მიმართო მეფესო –

ბრიყვულო უმაღლესობავ,
ბრიყვებზე უბრიყვეთესო!

არის ასეთი სამეფო,
ერთგული ბრიყვი მეფისო...
თუ სიმართლეს არ ვამბობდე,
ბრიყვობას აღარ ვეღირსო!

2009

სოფელი რენე

რენე კალანდიას

„რენე“, გახსოვს, რენე,
იგოეთის მერე,
ასდიოდა ბუღი
თავთუხისფერ ველებს.

როგორ გაამაყდი,
ყელიც მოიღერე:
– ქართლში სოფელია,
ჩემი მოსახელე.

ეჰ, რამდენმა წყალმა
ჩაიარა, რენე –
„ბეემვე“ და „რენო“
მგზავრებს მიაფრენენ.

ვიღა გადახედავს
ამ საცოდავ რენეს,
როცა საქართველოც
თვალწინ „დაგვაწერეს“.

ახლა აქეთ, მხოლოდ
მოგონება დადის,
ათასცხრაას სამოც-
დარვა, ცხრის თუ ათის.

„რენე“ გახსოვს, რენე,
იგოეთის მერე,
შეჰფენოდა ფარა
გადატრუსულ სერებს.

კომბალგადებული,
როგორც მწყემსი ჭიკო,
ახლა საითა ხარ,
საით მიროჭიკობ.

„რენე“ გახსოვს, რენე?..

2005

მამაჩემი

ეს კაცი, ალბათ, დიდხანს მეცნობა,
კაცი, რომელიც არავის არ ჰგავს
და ცხოვრებაში როგორც ოცნებას,
ბევრ რამეს იძენს,
ბევრ რამეს კარგავს.

და თუ სიკეთეს ტყვია ესროლეს,
საკუთარ შვილსაც გაიღებს ხარკად –
კაცი, რომელიც დიდხანს მეცნობა,
კაცი, რომელიც არავის არ ჰგავს.

1968

*

ყველამ გაყიდა, ჩემს თაიგულს არვინ ყიდულობს,
ცრემლი მერევა, რაღას წვები, ბინდო ტიელო,
ვდგავარ მარტოკა, მომისმინე, რაღას დიდგულობ,
თუ ძვირი არის, ლამაზია სამაგიეროდ.
ყველამ გაყიდა, მოღუშულმა დღემაც მიმუხთლა,
ვარდის ფოთლებზე აკიაფდა ჩემი ცრემლები,
უსიამოვნოდ წვიმს, ფიქრები, ნეტა, ვის ვუთხრა,
ღრუბლები ღრუბლებს მიჰყვებიან, როგორც
მწევრები.
მოდი, გოგონა, ვიღას ეძებ, აქ მე ვარ მარტო,
სხვებმა გაყიდეს და წავიდნენ, ძნელია მოცდა,
თუ გულით გინდა თაიგული, ლამაზო, ნატრობ,
ნუ გამაწბილებ, დამიჯერე, გაგატან კოცნად.
ყველამ გაყიდა, ჩემს თაიგულს არვინ ყიდულობს,
ცრემლი მერევა, რაღას წვები, ბინდო ტიელო,
ვერც ჩვენ მოვრიგდით, მომისმინე, რატომ
დიდგულობ,
თუ ძვირი არის, ლამაზია სამაგიეროდ.

1965

ფანჯრებთან ნისლები

ჩვენ გვიღალატა ძველმა ჟურნალმა, მაგრამ მთავარია, ღალატს ძველ მეგობრებსაც არ ვამჩნევდეთ (ჟურნალი აუცილებლად დაგვიბრუნდება)...

არადა, ვანო ჩხიკვაძემ შესაძლოა, მართლა იეჭვიანოს: ,,ლექსები – 2014“ – ზე გამოხმაურება დავაგვიანე. მან ხომ არ იცის, რომ შვიდი დღეა (ახალი წლიდან ქრისტეს შობამდე), მისი წიგნი სასთუმალთან მიდევს და პირველი ფურაზის ,,კარნახს“ ველოდები.

და, უფლის წყალობით, ისევ გალაკტიონმა მიშველა.

ტიციანიც უნდა ვახსენო.

მურმან ლეგანიძეც – აუცილებლად!

სწორედ მურმანი წერდა (გალაკტიონის გამღმერთებელი!), პოეტური არმიები რომ შექმნილიყვნენ, მე ტიციანის არმიაში ვიქნებოდიო (,,წამიძეხ სანთლით და ჩამრიცხე შენს ამალაში“).

დარწმუნებული ვარ, ვანო ჩხიკვაძეც იმ არმიაში იქნებოდა, ტიციანთან და ლადო ასათიანთან ერთად.

არადა, მისი პოეტური ხმა და მელოდია არც ერთისას ჰგავს და არც მეორისას.

ასე, მურმანიც მათგან სრულიად განსხვავებულია.

საერთო რა აქვთ და ერთ არმიაში რატომ იქნებოდნენ? – ის, რაც მურმან ლეგბანიძემ ერთხელ, ლადოზე და ტიციანზე საუბრისას, ასე განმიმარტა: ,,მშობელი მიწის ტკივილამდე მძაფრი სიყვარული.“

დიახ, ხმა და მელოდია აუცილებლად შენი უნდა გქონდეს, ტკივილი კი – საერთო.

ვანო ჩხიკვაძის ხმა და მელოდია ესაა:

ჩაფიქრებული სხედან მისნები,
თეთრი მთები და ლურჯი ნისლები,

მიდი – მოდიან.
გაღმა – გამოღმა,
დაჭკნა იელი. ტევრი ჩამოხმა.

მტაცებს ხმელ ფოთოლს ხელისგულიდან,
დავიწყებისკენ ქარი მიაფრენს.

იმ სამოთხიდან,
იმ წარსულიდან,
ჩემს სიზმრებს ისევ აფორიაქებ.
მოვდივარ. შენი ნატვრით ვივსები.
ისევ მთები და ისევ ნისლები.

აქ ვერც ტიციანს შეხვდებით, ვერც ლადოსა და ვერც მურმანს.

მათეულ ტკივილებს კი უხვად ნახავთ.

ვანო ჩხიკვაძესაც, მათსავით, გულით ხანჯლები დააქვს.

და უპირველეს საფიცარს ასე ელაპარაკება:

ვიდრე ხელებში ჩამიტყდება საწუთროს ჯამი,
მითხარი მაინც –
ვინ დაგარქვა ნეტავ სამშობლო –
შენ ხარ ტკივილი გაუსაძლისი
და ამიტომაც ჩემს სიმღერებს
სიხარული არ ანებივრებს!

ანდა როგორ გაანებივრებს, როცა მის სამშობლოს

კავკასიონის მოაჯირზე გადაკიდული
საფენივით ბერტყავენ,
შოლტსა და სახრეს უჟაპუნებენ
და ღდინს აცლიან...

სხვათა შორის, ლექსი, რომლიდანაც ეს

სტრიქონები მოვიხმე, იმ (არა)კაცს, ეძღვნება ვინც ჩვენს სამშობლოს შოლტს თავადაც დაუნდობლად უჟაპუნებდა, რადგან ამით ძალაუფლებით ტკბობას იხანგრძლივებდა. ეს ერთ – ერთი საუკეთესო ლექსია ამ კრებულში, მწარე სიმართლის ორიგინალურად გამომხატველი. გაგაოცებთ კიდეც პოეტის დაუნდობელი პატიოსნება:

მიდის უწყინარი ბერიკაცის
ფლასში გახვეული,
მიდის სამშობლოს
ალალი ცრემლით დაუტირებელი
და გეხვეწები,
გემუდარები,
ვინც ხვალ სამშობლოს სისხლზე
უნდა დაიგეშოს,
ასე ნუ დაამთავრებს თავის სიცოცხლეს...

და სრულიად საპირისპირო ლექსი – "ობოლ" მწერალზე, მთაწმინდა რომ გულში იხუტებს:

ტორტმანებს ხალხი,
წუხს მიკროფონი.

ავანსცენიდან უხმოდ გადის მზე,
აქ კი მჯიღს იცემს ვინმე იუდა,

და ეღიმება მის ცრუ ქადილზე
მას, ვინც ილიას ფერხთით მიუწვა.

..."ხანჯლების" გარდა, კიდევ ერთი რამით ჰგავს მურმანს ვანო ჩხიკვაძე – ყოველწლიური კრებულებით. ამ მხრივ, ორივე გალაკტიონის რჩევას მისდევს: ,,დრო, დრო აღნიშნე, მოაწერე ლექსს ეს წელიწადი, დღე და საათი!"

ვანო ჩხიკვაძეც აღნიშნავს და აწერს.

საბედნიეროდ, არც სათქმელი ელევა და არც მისი გამოხატვის ფორმები.

ტკივილებს კი ისედაც რა დაულევს.

ეს საქვეყნო ტკივილებია, მხოლოდ ხანდახან თუ გამოერევა ხოლმე პირადული, მოუწყობელი ყოფით გამოწვეული. ამ დროსაც გულწრფელი, პოეტური და სულის შემარხეველია მისი საწუხარი:

უცოდველ სტრიქონებს
ვეძახი – მომკალით!
კვლავ წვეთავს ღამეში
მოშლილი ონკანი...

ონკანი როგორც იქნა, შეაკეთებინა, მაგრამ ეს მის დარდს მაინც ვერ შეამცირებს, რადგან იქვე, იმავე ლექსში ეს სტრიქონებია:

კართან მათხოვრები,
ფანჯრებთან ნისლები...

...ბოლო დროს ვანო ჩხიკვაძის ლექსებს ერთი ,,ფილოსოფიური“ დარდიც შეეპარა – სიკვდილსა და ამაოებაზე ფიქრი

ზამთრის საღამოებია,
ვიღაც ჩამჩიჩინებს ისევ:
–მოხველ ამაოებიდან
მიხვალ ამაოებისკენ...

ერთ ლექსი კი ამას ამბობს:

მინდა, წუთისოფელი
მეც არ გამოვიღამო,
საით უნდა წავიდე,
ღმერთო, რომ არ ვინანო!

პოეტები ეჭვიანი ხალხია, თორემ ვანო ჩხიკვაძეს, წესით, ეს კითხვა არ უნდა აწუხებდეს.

ბოლომდე ვერც იქ დავეთანხმები, სამშობლოს რომ მიმართავს:

შენთვის გვირგვინის დამდგმელი
ნეტავ თუ ვინმე დარჩა –
მკერდზე მჯიღი რომ დაიკრას,
ასეთი კაციც არ ჩანს...

მჯიღისა რა მოგახსენოთ (ასეთები ყოველ-

თვის იქნებიან!), სამშობლოზე გულწრფელად მოდარდენი კი, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ შემოგვრჩნენ.

ერთს ამ კრებულით ვხედავ...

იოსებ ჭუმბურიძე

მინაწერი: ,,ლექსები – 2015“, ამ წინასიტყვაობით“, სულ მალე გამოვა. იმ კრებულს, იმედია, ისევ ჟურნალ ,,ჩვენი მწერლობის“ ფურცლებიდან გამოვეხმაურები, ანუ ,,ხიდისთავს შეკრული პირობა“ აღარ დაირღვევა. მანამდე ,,თბილისის“ გამოცემაც რომ აღდგეს, სიტყვას მაინც არ გადავალ...

"საქართველოს რესპუბლიკა“
(#4, 9 იანვარი, 2016 წ.)

სარჩევი

კავკასიონი 3
ტახტი 4
* (წავიდა მეუფე თადეოზი...). 7
* (თმაში ჭაღარა ყვავილობს...). 8
ცხენები 10
* (გზები მოხრეშილა ბინდით...). 11
* (ბევრჯერ მომნატრებია...) 13
* (ვერაფერს გეტყვი მომავალზე...) 16
* (გასხივოსნდება მადლით ხარება...). 18
უპასუხო კითხვა 19
* (მე ასე მგონია...) 20
* (დუმს ხეობა...) 22
* (გახსოვს მდინარეზე ხიდი...) 24
* («და იყო ღამე...») 26
* (წავიდა ომი...) 27
დირექტორი 28
* (აქეს, აქეს, აქეს, აქეს...) 30
* (გული გახლეჩილა ჯავრისაგან). 32
* (ვაკის პარკში ცხელა...). 33
* (სიყრმიდან მახსოვხარ, გიცნობ...). 35

სურათი 36
მაკედონელი 37
ოთხმოცდაათიანი. 39
ნიკალა 41
* (ეზო იტალიური) 43
26 ივნისი 45
* (თვალს დავხუჭავ...) 46
სიცხიანი ლექსი 48
ქალაქი 51
ბრიყვეთის სამეფო 57
სოფელი რენე 60
მამაჩემი 62
* (ყველამ გაყიდა...) 63

შპს „ლიტერა+“
შეკვეთა #127, ტირაჟი 160, ფორმატი A6, 2016 წ.



* * *

...ამიერ ისინ ჩემი წიგნი-ხუთეულნი,
ბიბლიოთეკის ფიცარ და ხიდულში დაკეკვილი ფრთანაცვალი,
სიცოცხლეს ეკუთვნიან ეჭვგარეშე ამაოებას!..

ვალერი ჩხეიძე
2009 წელი